საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/11

ქ.თბილისი

„02" ივლისი 2018 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N6/19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $27^{2,}$ და 63–ე მუხლების, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის დადგენილების მე-19 მუხლის მე–9 პუნქტის, აგრეთვე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების" მე–6 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატში კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N6/19 ბრძანებაში (შემდგომში „ბრძანება") შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ქვეპუნქტები:

„3^{5}) თემურ ძაგნიძე - რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის დაგეგმვის ჯგუფის უფროსი;

3^{6}) ნოდარ ასპანიძე - რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის უფროსი;

3^{7}) რომან ქურდაძე - რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის დაგეგმვის ჯგუფის ბაზების მართვის წამყვანი სპეციალისტი.".

2. ბრძანება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ჯახი ბექაური